# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა "კ"

ბრძანება:**ბ44. 442415123**

თარიღი:**30/05/2024**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტ ზიტა გულეიშვილისათვის დროებით ამავე სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის /პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი/ ფუნქციების დაკისრების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1 პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-9 პუნქტების; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელ პეტრე ადამაძის 2024 წლის 29 მაისის N 01-4424150311 მოხსენებითი ბარათისა და ზიტა გულეიშვილის თანხმობის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაეკისროს ზიტა გულეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ამავე სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის /პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი/ ფუნქციები 2024 წლის 30 მაისიდან, აღნიშნულ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი პირის დანიშვნამდე.

2. ამასთან, გათავისუფლდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ძირითადი ფუნქციების შესრულებისაგან.

3. თანამდებობრივი სარგო განესაზღვროს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტისათვის /პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი/ გათვალისწინებული სარგოს განაკვეთის ოდენობით.

4. ბრძანება, შეიძლება, გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი